სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

2022-2023 სასწავლო წლის

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისს 2023

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულებებია - სასპორტო პროგრამები და მასთან დაკავშირებული ისეთი დარგებია, როგორებიცაა - მასაჟი, რეაბილიტაცია, რეპორტინგი. კოლეჯმა 2021 წელს მოამზადა პროფესიული სტანდარტი - სპორტული ინსტრუქტორი, თუმცა სხვადახსვა მიზეზების გამო პროცესი ამ დრომდე გაიწელა. ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროგრამის დამატება ვერც მიმდინარე სასწავლო წელს მოხერხდა. თუმცა რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი, რომ დეკემბრის ბოლომდე დამტკიცდება „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიის სტანდარტი და პროფესიული პროგრამა.

2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის თანახმად კოლეჯში დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანების განხორციელება:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სპორტის ინსტრუქტორის“ შემუშავება და დანერგვა. კოლეჯის საგანმანათლებლო სპექტრის გაფართოება და ახალი პროგრამების დამატება.
2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა/განხორციელება
3. პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება
4. პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესყიდვა/ განახლება თბილისსა და ქუთაისში
5. სასწავლო პროცესის მონიტორინგი
6. კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების გადამოწმება და საჭირო ცვლილებების განხორციელება
7. მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა
8. კომმპიუტერული კლასის ახალი კომპიუტერებით მომარაგება
9. კოლეჯის ვებ-გვერდის განახლება
10. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება
11. 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება

2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პირველი პუნქტით გაწერილი ამოცანისა და აქტივობების განხორციელება კოლეჯისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ განხორციელდა. თუმცა უნდა აღინიშნოს პროცესის დადებითი დინამიკა და იმედს ვიტოვებთ, რომ 2024 წელს კოლეჯი დაიმატებს „სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიულ პროგრამას. რაც საშუალებას მოგვცემს გავაგრძელოთ სრულყოფილი მუშაობა კოლეჯის მისიის, ღირებულებებისა და ხედვის შესაბამისად.

ისე როგორც 2021 -2022 სასწავლო წელს, 2022-2023 სასწავლო წელში კოლეჯში შემუშავდა და ავტორიზაცია გაიარა პროფესიული მომზადების 2 პროგარამამ:

1. მძლეოსნობის ინსტრუქტორი
2. ძალოსნობის ინსტრუქტორი

კოლეჯმა განმეორებითი დაფინანსება მიიღო პროფესიული მომზადების 8 პროგრამაზე. ხუთიპროგრამა ქ. თბილისში და სამი ქ. ქუთაისში.

2023 წლის მარტში დაიგეგმა კოლეჯის პროგრამების სპექტრის გაფართოება, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ სასპორტო მიმართულების და მასთან ახლო მდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები (მასაჟისტი, რეაბილიტაცია, რეპორტინგი) გაუქმდა.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან კონსულტაციის შემდეგ კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.

განხორციელდა მთელი რიგი სამუშაოები:

- პროგრამისა და მოდულების ადაპტაცია
- სასწავლო გეგმების შემუშავება
- განისაზღვრა პროგრამის ხელმძღვანელი
- დადგინდა მატერიალური რესურსი
- შეირჩა პროფესიული განათლების მასწავლებლები
- კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებში განხორციელდა ცვლილებები და დამტკიცდა ახალი დებულებები
- კოლეჯმა შეიმუშავა რამდენიმე ახალი დებულება, რომელის რეკომენდაცას იძლეოდა ხარისხის ცენტრი
- 2023 წლის 21 აპრილს შესაბამისი დოკუმენტაცია გადაეგზავნა ხარისხის ცენტრს
- კოლეჯმა ასევე დაიწყო მზადება ავტორიზაციის პროცედურებისთვის
- შევისყიდეთ ახალი პროგრამისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი
- სრულად განვაახლეთ კომპიუტერული კლასი, დამონტაჟდა 17 ახალი კომპიუტერი
- ახალი კომპიუტერებით აღიჭურვა ბიბლიოთეკა
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დაიდო წინარე შრომითი ხელშეკრულებები
- მოწესრიგდა მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის პირადი საქმეები
- განახლდა კითხავრების შინაარსი და განხორციელდა კვლევები.

კოლეჯმა წარმატებით გაირა ავტორიზაცია და დაიმატა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ჩატარდა შესარჩევი ტური და კოლეჯში ჩაირიცხა 24 სტუდენტი.

რაც შეეხება მეორე სტრატეგიულ მიზანს - პერსონალის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ამ კუთხით ყველა დასახული ამოცანა შესრულებულია.

დაიგეგმა და წარმატებით ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის. კოლეჯის თანამშრომლები ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულები ხარისხის ცენტრის, პროფესიული უნარების სააგენტოს, მასწავლებლის სახლისა და განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და სემინარებში.

სტრატეგიული მიზანი 3. დაგეგმილი სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები და ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეძენა/განახლება. სრულად გაიმართა კომპიუტერული კლასი და დამონტაჟდა ახალი კომპიუტერები. პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით, ახალი წიგნებით შეივსო ბიბლიოთეკა. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმდა მემორანდუმები და ხელშეკრულებები. შემუშავდა სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და მეცადინეობებზე დასწრების გრაფიკები. მუდმივად კონტროლდება კოლეჯის ვებ-გვერდი და სიხალეები მუდმივად და დროულად აისახება, რათა მოხდეს დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული მიზანი 4. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა; კოლეჯი გამუდმებით ზრუნავს საკუთარი ცნობადობის ამაღლებაზე. კოლეჯი აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ პროფესიულ განათლებაში სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს. კოლეჯის მასწავლებლები, რომელბიც ასევე არიან დარგის სპეციალისტები და მუშაობენ სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებში, უზრუნველყოფენ სტუდენტების მოზიდვას.